ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97261696**

თარიღი:**18/06/2026**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ,,ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის''-თვის სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის'' კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ,,17" ივნისის N96-962616814 მომართვის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1.დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი-''ს მიერ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯი დანართი: N-1, N-2 -ის შესაბამისად.

საფუძველი: ა(ა)იპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის დირექტორის მ/შემსრულებლის ოლეგ გულბიანის 2026 წლის 19-მაისის N-1 წერილი და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების , კულტურის , სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსის მედიკო ხვისტანის 2026 წლის 22-მაისის N-04-962614216 მოხსენებითი ბარათი.

მუხლი 2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის

მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4 . განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე .

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი